

მაია ბარხაშვილი

## ქრისტიანული სახისმეტყველების უძველესი პლასტები ინგილოურ ზეპირსიტყვიერებასა და ორნამენტიკაში

ჰერეთი, საქართველოს ძირძველი კუთხე, 1921 წლიდან შევიდა აზერბაიჯანის შემადგენლობაში და სამ ადმინისტრაციულ რაიონად დაიყო: (კახის, ზაქათალის და ბელაქნის). საქართველოს ძირძველი კუთხე დღეს საინგილოს სახელით არის ცნობილი. საინგილო მას შემდეგ დაერქვა, როცა შაჰ-აბასი შემოესია საქართველოს. კახეთიდან ორასი ათასი ქართველი გადაასახლა ფერეიდანში, ამ დროს ჰერეთის მოსახლეობის ნაწილი გამაჰმადიანა და გამაჰმადიანებულ ქართველებს „ინგილოვ“, „ინგილარ“ უწოდა, რაც მათ ენაზე ნიშნავს ახლად მორჯულებულებს. დღეს გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობენ ორ რაიონში: ზაქათალა და ბელაქანი. კახის რაიონში კი მართლმადიდებელი ქრისტიანები ცხოვრობენ. ისინი ჭეშმარიტი ქრისტიანები არიან და ამას ავლენენ კიდევ ხელოვნების სხვადასხვა დარგში: მუსიკა, ხელით ნაკეთობები, საგალობლებში, რენვაში (ნაქარგობებში) და ზეპირსიტყვიერებაში.

კახში არის მაგალობელთა გუნდი, რომელსაც „ლაზარე“ ჰქვია. კახის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ყოველდღიურად აღევლინება წირვა-ლოცვა მამა იოანეს მიერ, ეკლესიაში გალობდნენ ჯგუფ „ლაზარეს“ წევრები.

ისტორიული წყაროებიდან ვიცით, რომ ჰერეთმა ქრისტიანობა მიიღო მირიან მეფის გაქრისტიანებიდან რამდენიმე ათეული წლების შემდეგ. არსებობს მოსაზრება, რომ წმინდა ნინოს ბოდბეში დავანების... შემდეგ უნდა მომხდარიყო დღევანდელი საინგილოს გაქრისტიანება და ამაში წვლილი მიუძღვის სწორედ წმინდა ნინოს ეს ლოგიკურიც არის, რადგან ბოდბე კახეთშია და ჰერეთი კახეთის მოსაზღვრე კუთხეა და იქაც თავის წვლილს შეიტანდა მოციქულთა სწორი ნინო.

XI საუკუნის ისტორიკოსი ჯუანშერი ამბობს: „მირიანის შვილმა მეფე ბაქარმა თავისი ძმისწულები, რევის შვილები კახეთიდან გადმოიყვანა, მისცა მათ მეფობის ნაქონი კუხეთი (ჰერეთი) და დაასახლა ქ. რუსთავში“. ჯუანშერი „ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასალისა“-ში წერს: „მირიან და გრიგოლ იყუნეს ნათესავისაგან რევის, მირიანის ძისა, აქუნდათ მათ კუხეთი და ცხოვრობდნენ რუსთავის ციხე-ქალაქს“, ხოლო ლეონტი მრეკლის ნაამბობის იმ ადგილას, რომელიც ეხება ქართლოსის სიკვდილის შემ-

დედ მისი ცოლის მიერ საქართველოს ტერიტორიის გაყოფას ხუთ შვილზე, ის წერს, რომ დედოფალმა აღაშენა ბოსტან-ქალაქი, რომელსაც ან შრქუიან რუსთავი და განუყენა ცოლმან მისმან ქართლოსისმან ხუთნივე იგი გმირნი შვილნი მისნი. ხოლო კახოსს (ნ. ნადირაშვილი ასწორებს ამას და ამბობს კუხოსს) მისცა ბოსტან-ქალაქი, მისცა ეგრიდგან თავამდე მთისა კახეთისასა და მტკუარსა შუა; ხოლო კახოსს მისცა კავკასიისა და კახეთის მთას შორის არაგვიდგან ვიდრე ტყეცბამდე, რომელი არის საზღუარი ჰერეთისა.

ამ ისტორიულ წყაროზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ჰერეთი გაქრისტიანდა მირიან მეფის გაქრისტიანებიდან რამდენიმე ათეული წლების შემდეგ.

საინგილოს ყველა სოფელში არის ეკლესიები: წმინდა სამების სახელობის, მთავარანგელოზის, ალავერდის, წმინდა ნინოს სახელობის. ყველაზე მეტი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიებია. დღეს მხოლოდ კახში აღველინება წირვა-ლოცვა, სხვა დანარჩენ სოფლებში ტარდება პარაკლისი მამა იოანეს მიერ.

საქართველოს ყველა კუთხეს თავისებური ლეგენდები აქვს წმინდა ადგილებზე, ეკლესიებზე და მეფეებზე შემონახული. ხალხის მიერ შექმნილი თქმულებები ბევრისმთქმელია და სიმბოლური (ქრისტიანული) სახეებით აღსავსე.

საინგილოში არსებული ლეგენდა-თქმულებები არც თუ ისე ბევრია, მაგრამ ის მცირეც ძალიან ბევრისმთქმელია და საყურადღებო, განსაკუთრებით შეიმჩნევა ქრისტიანული კულტურის უძველესი პლასტები და ამიტომაც იქცა ჩვენი კვლევის საგნად.

ლეგენდა კახის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში წმინდანის წინ თავმოხრილი უცხო ხის შესახებ მეტად ფასეულია. ლეგენდა ასე იწყება: „კახის წმინდა გიორგის ეკლესია ამაყად დგას სოფლის შუაგულში. ირგვლივ ერთგული დარაჯებივით ხუთი ცაცხვის ხე შემოხვევია. ეზოს სამხრეთით ფიჭვნარია, სამხრეთ-აღმოსავლეთით ქალთა გიმნაზიის ნანგრევებია (დაარსა სოფიო ყულაშვილმა). ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილში დგას სამი კვიპაროსის ხე, რაც ისედაც ლამაზ ხედს უფრო მიმზიდველს ხდის. კვიპაროსები სიმაღლის მიხედვით ისეთი თანმიმდევრობით დგანან, რომ შორიდან ერთ ხედ შერწყმის შტაბეჭდილებას ტოვებენ.“

კვიპაროსის ძირში ქრისტიანობის აღმდგენის ივანე ბულულაშვილის საფლავია. იქვე ორი იდუმალეობით მოცული „უცხო ხე“ დგას, ერთ-ერთი მათგანი ნამეხარს ჰგავს, შუაზე გაჩეხილს ერთი ნახევარი თაღისებურად დახრილა ივანე ბულულაშვილის საფლავთან. ეს სურათი ღირსეული მამულიშვილისადმი თავყანისცემის ზებუნებრივ გამოვლინებას ჰგავს.

ხალხური წყაროებიდან ირკვევა, რომ აღნიშნული ეკლესია აგებულია წმინდა გიორგის ძველი საყდრის ნანგრევებზე, ისტორიული ავბედითობის გამო მრავალჯერ იქნა განადგურებული. საბოლოოდ წმინდა გიორგის ეკლესია აღდგენილ იქნა ივანე ბულულაშვილის თაოსნობით. ამ ფაქტთან დაკავშირებით არსებობს ასეთი ლეგენდა:

„ერთხელ ივანეს ღრმა ძილით სძინებია ერთი კვირის განმავლობაში, სიზმრად მას ანგელოზი გამოეცხადა და ნათლისღებისაკენ მიეწოდა და უთხრა: „განსპეტაკდი ვითარცა წვერი შენიო“. როცა გაიღვიძა ივანემ, დაინახა რომ წვერი გასთეთრებოდა, ირწმუნა ანგელოზის გამოცხადება, ჩავიდა ფეხით თბილისში და სიონის ტაძარში მოინათლა. კახში დაბრუნებულს მეორედ ესიზმრა. ამჯერად ანგელოზმა ამცნო, რომ სოფელში ცაცხვების გარემოცვაში მდებარე დანგრეული ეკლესიის აღდგენა ევალებოდა. ღვთის ნებით ეს დავალებაც შესრულებული იქნა.

მესამე გამოცხადებისას ანგელოზმა ამცნო, რომ ეკლესიის ეზოში თანმიმდევრულად აღმოცენდებოდა სამი ხე, რაც წმინდა სამებას განასახიერებდა, იმავდროულად ეს იქნებოდა მასზე გადმოსული ღვთის მადლი, რის შემდეგაც ივანეს შეეძლო თავისი თანამომენი ხელახლა მონათლა. ღვთის ნება-სურვილის ასრულების დროს არმოცენდებოდა ორი ხე, ნიშნად ქრისტეს ორბუნებოვნებისა. ღვთის ნების შესრულებას შეუდგა ივანე, მას უხდებოდა დიდი წინააღმდეგობების გადალახვა, მართლაც კვიპაროსების ახლოს აღმოცენდა ორი „უცხო ხე“, რომლის მსგავსი ეკლესიის და მის შემოგარენში არ მოიძებნება. როცა ივანე ბულულაშვილი გარდაიცვალა, მადლიერმა ხალხმა იგი კვიპაროსებთან დაასაფლავა. გავიდა ხანი, ერთხელ გიორგობის წინა საღამოს მოულოდნელად ცა მოიღუშა, გაავდრდა, დაიწყო ქექა-ქუხილი და კოკისპირული წვიმა მოვიდა. შუალამისას ძლიერ დაიჭექა, თითქოს ცა გაიხსნაო. ირგვლივ ყველაფერი განათდა, ციდან ცეცხლის ნაკადი გადმოეშვა და ამ უცხო ხეთაგან ერთ-ერთს დაეცა. შუაზე გაიყო ნახევარი მლოცველივით საფლავის წინ დაიხარა, ნახევარი კი სანთელივით ინვოდა, შემდეგ ყველაფერი დაწყნარდა. დილით როცა ოქროს-სხივისანმა მზემ გამოანათა, ხალხი სასწაულის მოწმე გახდა. მალე ცაზე კვიპაროსების თავზე შვიდფეროვანი ცისართყელა ეკვროდა ცას.“

ამ ლეგენდაში არსებული ქრისტიანული სიმბოლოების შესახებ ბევრი რამის თქმა შეიძლება. რიცხვი სამი, რასაც საკრალური დანიშნულება აქვს, ცისარტყელა მშვიდობის სიმბოლოა, რაც იმას მოასწავებს, რომ ამის მერე საინგილოში მშვიდობა იქნება. რაც შეეხე-

ბა კვიპაროსების ხეებს, ეს იგივე ალვის ხეა და ხეებს ხშირად ვხვდებით ძველ ალთქმაში, აგიოგრაფიულ ძეგლებში. ალვის ხის სიმბოლიკა მზესთან ზიარების გარეგანი გამოხატულებაა, რაც იშიფრება ალვის ხის ზეაღმავალ სიმაღლეში. არც ერთ ტანმალალ ხემცენარეში არ იგრძნობა სიმაღლისკენ ლტოლვა, ასეთი დინამიკა და ენერჯია, რა განწყობასაც ტოვებს ალვის ხე.

ხე თავისი ფერადოვნებით, თავისი ყოვლისმომცველობით ადამიანის სიცოცხლესთან შედარებით თავისი უკვდავი არსებობით მშვენიერი ხიდან ღვთაებრივ ხედ იქცა. საქართველოს მთაში შემორჩენილი იყო ხის კულტთან დაკავშირებული წარმართული რიტუალები, წეს-ჩვეულებები, რომლებსაც ქრისტიანული ელფერი დაჰკრავდა. ქართულ რელიგიურ აზროვნებასა თუ ყოფით ცხოვრებაშიც საკმაოდ არის შემორჩენილი ხის თავყანისცემის ელემენტები. სწორედ ამიტომ არ შეიძლება, რომ თავისებური ასახვა არ ეპოვა ქართულ ჰაგიოგრაფიაში, სადაც სიმბოლური აზროვნება ძირითადად ბიბლიურია. თავად ბიბლიაშიც ხომ რვაასამდე ხის სახეობაა მოხსენიებული. [3, 9]

წარმართულ საქართველოში არსებული ხის კულტის, როგორც მამრობითი საწყისის გადმონაშთს, ქრისტიანულ საქართველოშიც ვხვდებით, სადაც თითქმის ყველა წმინდა ხე ან ტყე წმინდა გიორგის სახელს უკავშირდება. წმინდა გიორგის სახელწოდება ენობრივი თვალსაზრისით განხილული აქვს ნიკო მარს და სახელდობრ მუხასთან აკავშირებს. [3, 7]

ასევე აფხაზებს სწამდათ ხის სულის არსებობა, მაგრამ ამ მოაზროვნე სულს მამრობითი საწყისის მიაწერდნენ. [4, 27]

„ხე თავისი სიმბოლიზმით განუზომელია. იგი მოიცავს მთელ სამყაროს. სამყარო მთლიანი ხეა, რომლის ჩრდილშიც დასახლდა ხალხი“. [4, 42]

ალვის ხე უძველესი საკულტო ხე იყო და ხალხურ პოეზიაში შემორჩენილია უძველესი წარმოდგენები, რომლის მიხედვითაც მარანში ამოსული ალვის ხე ყურძენსაც ისხამს. ვენახისა და ალვის ხის სიმბოლური კავშირი ქართულ ჰიმნოგრაფიაშიც იჩენს თავს („შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული, ალვა სულნელი სამოთხით გამოსრული“). [1, 79]

სხვა მრავალ ხეებთან ერთად, ალვის ხესაც მხოლოდ ნინოს ცხოვრებაში ვხვდებით, სადაც ალვის ხე სიცოცხლის ხის მნიშვნელობითაა მოხსენიებული.

„და იყო ხილვაი შუენიერი და სულ ჰამოჲ, ვითარცა სმენით ვიცით ხისა მისთვის ალვისა.“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ). გარდა ამისა ხეში არის ჩადებული ვერტიკალური ხაზის სიმბოლო ანუ სწრაფვა უფლისაკენ.

ამით იმის თქმა შეიძლება, რომ კვიპაროსების ხეები ივანე ბულულაშვილისათვის სულიერ ამაღლებას და მის უდიდეს ვალდებულებას მოასწავებს ერის წინაშე.

გარდა ლეგენდებისა, საინგილოში შემორჩენილი არის ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები, დატვირთული ქრისტიანული სიმბოლოებით. როცა უყურებ, თითქოს მნიშვნელოვანი სახეები არც არის ამოყვანილი, მაგრამ ამ უბრალო სახეებს მიღმა უდიდესი დატვირთვის მქონე სახეებია. როცა ერთხელ ერთმა მოხუცმა ქალმა მანახა წინდა მკითხა: „აბა შვილო აქ რას ხედავ?“ დავაკვირდი და ვთქვი პეპელა. გაიცინა და მითხრა: „შვილო პეპელას მიღმა ჯვარს თუ ხედავო?“ მაღლიანმა ქალმა თვითონვე მითხრა, ამისხსნა და განმიმარტა: „შვილო იყო პერიოდი, როცა ჩვენ ქრისტიანული ნივთების ტარებას ვერ ვბედავდით მაჰმადიანების შიშით, ახლა თქვენ რა გიჭირთ, შიშის გარეშე შედიხართ ეკლესიაში და სანთელს ანთებთ, ლოცულობთო. ჩვენ კი მათ (მაჰმადიანებს) რომ არ დაენახათ, ამ უბრალო სახეებში შიგნით ჯვარს ვსახავდით და ისე დავდიოდით, რასაც ისინი ვერ ამჩნევდნენო. ასეთი სახის წინდები ბევრია შემორჩენილი, თან ისიც არის გასაკვირი, რომ წინდის უკანა მარცხენა მხარეს წარმართული სახეებია გამოსახული, მარჯვენა მხარეს კი ქრისტიანული: ჯვარი, პეპელა (პეპელა არის აღდგომის განახლების სიმბოლო), ვაზი, ყვავილი, წინოს ჯვარი, ბოლნური ჯვარი და სხვა სიმბოლოები.

მრავალმხრივაა შესწავლილი IV-XX საუკუნის ქართული კულტურის თითქმის ყველა დარგი. მათი საერთო ანალიზისათვის კი საჭირო იქნება გავითვალისწინოთ, რომ ქრისტიანული აზროვნების საფუძველთა-საფუძველია სიმბოლო. ყველაფერი მნიშვნელობს სიმბოლოურად. ქართული კულტურის ამა თუ იმ ფონემებს გავიაზრებთ როგორც „სახეს“ რომელშიც უკუფენილია ქრისტიანული ეთიკური იდეალები. „კულტურა“ ადამიანურ ქმნილებას გულისხმობს. ქმნილების გააზრებას „სახედ“ მასში აქსიოლოგიური მომენტი შეაქვს. მ. ჰაიდეგერის თქმით, ყოველი ქმნილება არის სიმბოლო. [1, 49]

ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორია უნდა იყოს არა მხოლოდ მოვლენათა ისტორია, არამედ ჩვენება ადამიანთმცოდნეობის ასპექტებისა, რათა ადამიანი არ გაუცხოვდეს და არ ჩაიკარგოს მოვლენაში. პირიქით, მოვლენა უნდა იქცეს სახედ და ხატად ადამიანის შინაგანი სამყაროსი. ამას ითვალისწინებს ქრისტიანული კულტურის სახისმეტყველებითი ისტორია. ეს ემყარება ყოფიერების სახეობრივ კონცეფციას, რომლის მიხედვით, მთელი ყოფიერება სახეთა სისტემაა, ყველაფერი რალაცის სახეა. კულტურუ-

ლი ფენომენი ადამიანის მაღალ სულიერ სწრაფვათა სახეა. მთავარია ადამიანი, როგორც კულტუროლოგიური ფენომენი. კულტურის შესწავლა ადამიანის კულტუროლოგიურ სახეს წარმოაჩენს... [1, 73]

ჯვარი უნივერსალური სიმბოლური ფორმაა, რომელშიც გაერთიანებულია ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზი, ქრისტიანული მსოფლმხედველობით ყველაფერი ჯვარსახოვანია, შეიძლება ითქვას ყველაფერშია ჯვარი, რადგანაც ვერტიკალი ღვთისკენაა მიმართული, ხოლო ჰორიზონტალური ნაწილი ამქვეყნიური ყოფიერების სიმბოლოა. [1, 46]

რაც შეეხება სხვა სიმბოლოებს, პეპელა ქრისტიანულ სამარხებზე გამოხატავს სულის ემბლემურ გამოსახულებას და ქრისტეს ხელზე გამოხატული პეპელა არის აღდგომის სიმბოლო. [6, 18]

დღესდღეობით პეპელა არის მეტაფორა სიმსუბუქის. სიმსუბუქეს სულხან-საბა განმარტავს როგორც სილამაზის უმაღლეს კატეგორიას ხატკეთილობით გამოსახულს.

ყველა კუთხეში ვეძებდით თუ იყო შემორჩენილი პეპელა ამ სიმბოლოთი, ან საერთოდ ხელნაკეთებზე, მაგრამ საქართველოს არც-ერთ კუთხეში არ არის, გარდა კახეთისა კახეთში ხახულის ხატის ჯვრის კუთხეებში ვხვდებით პეპელას (ლურჯი ფერის), ბორჯღალოს, ეს გადატანილი აქვთ ხელით დაწერილ ხატებზეც.

ამ შემთხვევაშიც, როგორც საინგილოში, ისე კახეთშიც იდენტური სიმბოლური სახეა ზემოთ განხილულისა, პეპელა არის სიმბოლო სულიერების, და ხელსაქმე რომ ითვლებოდა სულისმიერად გავიხსენოთ, რომ თავად ხელის მტევნის გამოსახულება იკონოგრაფიაში წარმოადგენდა სულის მოძრაობას, რაც ზედმინვენით სწორად ხელსაქმის დროს იკვეთებოდა.

ორნამენტის ნიმუშების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პეპლის სიმბოლიკა, როგორც ჯვარსახოვნების სიმბოლო წარმოადგენს ქრისტიანული კულტურის უძველეს პლასტს, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში განიცდის მცირე ინტერპრეტაციას და ზოგჯერ შეიძლება მივიჩნიოთ სიცოსხლის ხის ერთ-ერთ ატრიბუტად.

ჩვენს მიერ მოხმობილი არაერთგვაროვანი მასალა საინტერესო იყო იმ თვალსაზრისით, რომ ზოგჯერ წერილობითი ძეგლების პარალელურად შეიძლება სწორედ ფოლკლორისტიკის უძველეს ნიმუშებში იყოს განთავსებული ბიბლიური სიმბოლიკა, გარკვეული სახეცვლილებებით და სწორედ ამ მიზანს ისახავდა ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო.

ბოლოს ყველაფერი რომ შევაჯამოთ, ყველაფერი ფასეულია ჩვენთვის ქრისტიანული კულტურის თვალსაზრისით: ხე, პეპელა,

ჯვარი. ამ სიმბოლოების არქეტიპი არსებობდა უძველეს ტრადიციებში, ლეგენდებში. აღმოჩნდა, რომ იგივე ქრისტიანული სიმბოლოები უდიდესი დატვირთვით გვაქვს ინგილოურ ზეპირსიტყვიერებასა და ორნამენტიკაში, ხოლო მოგვიანებით პერიოდში მოხდა მათი ქრისტიანული გაშინაარსება და უკვე როგორც ქრისტიანული სახისმეტყველების ნიმუშები (ბიბლიური სიმბოლოები) გვხვდება არამართო სასულიერო ძეგლებში, არამედ ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა ის გარემოება, რომ ინგილოურ ზეპირსიტყვიერებასა და ორნამენტიკაშიც გამოიკვეთა ქრისტიანული კულტურის ელემენტები, კონკრეტული ბიბლიური სიმბოლოების სახით.

#### დამონმებული ლიტერატურა:

1. რეზო სირაძე, „ქართული კულტურის საფუძვლები“. 1999
2. რეზო სირაძე, „ქართული ჰაგიოგრაფია“. 1987
3. ქეთევან ელაშვილი, „ხეთა სიმბოლოკა ძველ ქართულ პროზაში V-XII სს-ის ძეგლების მიხედვით, ავტორეფერატი“. თბილისი 1998
4. ვ. ლომია, ვ. ბარდაველიძე, „ხის კულტისათვის საქართველოში“, საქართველოს მუზეუმის მოამბე III, თბილისი 1926
5. ნიკო ნადირაშვილი, შოთა რუსთაველის სადაურობის უცნობი ვერსია, „ცისკარი“, 1982
6. Досек Трессидер, Словарь символов, 1999

Maia Barikhashvili

### **Ancient Christian Symbols in Ingilo Folklore and Ornamentation**

#### Summary

The folklore (sagas, Legends) and ethnographic (ornamental patterns on textile) materials gathered in Saingilo are very interesting from the viewpoint of Christian symbolism.

Parallel to written Georgian monuments, the Christian symbolism is often traced in folklore works and ornaments also, however with certain variations. Researching all the above-mentioned is of a great importance for studying the Christian culture.

symbols, like: a tree, butterfly and a cross we meet both in the hagiographic writing and Ingilo folklore and ethnographic materials, particularly, among the patterns of knitted socks.

Thus, we have the same Christian symbolism in the folklore and literature. It is worth of attention that elements of the Christian culture in Ingilo folklore and ethnographic materials are shown by means of specific symbols.